ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

ლია ლაზიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

საბჭოთა საქართველო: ისტორია და ლიტერატურული რეცეფცია

თბილისი

2011

სამაგისტრო ნაშრომი ინტერდისციპილინარული ხასიათისაა. მასში განხილულია საქართველოს გასაბჭოების პირველი ათწლეულების ისტორიული და კულტურული ვითარება, ისტორიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესების ზეგავლენა ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებზე, კულტურის იდეოლოგიზაციის პრინციპები.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს დღეს სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინების განსაკუთრებული ინტერესი საბჭოური გამოცდილების და, საკუთრივ, საქართველოს უახლოესი წარსულის მიმართ. ისტორიული, სოციოლოგიური, პოლიტოლოგიური, ლიტერატურისმცოდნეობითი, კულტურული კვლევების ფარგლებში მიმდინარეობს საბჭოთა პერიოდის მოვლენების გადააზრება, დაგროვილ ისტორიული და კულტურული მასალის ხელახალი ანალიზი და მივიწყებული ფაქტების ახლებური ინტერპრეტაცია.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს გასაბჭოების პერიოდის ისტორიული და ლიტერატურულ-კულტურული პროცესების ანალიზი, ლიტერატურის იდეოლოგიზაციის პრინციპების გამოვლენა, ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთქმედების განხილვა, საქართველოს უახლესი ისტორიის

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მტკივნეული პერიოდის გამოცდილების გადააზრების პროცესში გარკვეული წვლილის შეტანას. ნაშრომში თავმოყრილია ის მასალები, რომლებიც მოძიებული იქნა 1920-1930-იანი წლების პერიოდულ გამოცემებში, დოკუმენტურ წყაროებში, დღეისათვის მივიწყებულ ლიტერატურულ ტექსტებში. ამ თვალსაზრისით ნაშრომი დაეხმარება აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ პირებს და გაუადვილებს მათ საქართველოს გასაბჭოების პირველი ათწლეულების ისტორიულ-კულტურულ მასალებსა და დომინანტურ ტენდენციებში ორიენტაციას.

ნაშრომის სტრუქტურა: წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ათი ქვეთავისაგან. ნაშრომს თან დართული აქვს გამოყენებული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ნუსხა.

შინაარსი

შესავალი

1. 20-30-იანი წლების ისტორიული სიტუაცია

2. ქართული მოდერნისტული მწერლობის ”გასაბჭოება”

3. ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, მმართველობის საბჭოური მეთოდების დამკვიდრება

4. თანამგზავრობა და მოკავშირეობა

5. საბჭოთა მწერლობა - იდეოლოგიური ექსპანსია

6. სტალინიადა

7.ტრადიციებისადმი დამოკიდებულება

8. ელექტროფიკაციის თემა მწერლობაში

9. ტოტალური რეპრესიები და ქართველი მწერლები

10. პარტიული კონიუნქტურა და მისი შედეგი